პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
კვირა
21
დეკემბერი
№ 292
(17934)
ფასი
2 კაპ.

ახალი შრომითი გამარჯვებებისაკენ!

ენერგეტიკულ სისტემათა, საწარმოთა და მუშნებლობათა მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მოსამსახურეებს ხალითთა კავშირის მრეწველობის სათბობი დარგების ყველა ენერგეტიკოსს, მანქანათმშენებელსა და მუშაკს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მოგილოცავთ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ღირსსახსოვარ თარიღს — რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო გეგმის მე-60 წლისთავს. დიდი ლენინის ხელმძღვანელობით შემუშავებულმა გოელროს გეგმამ დასაბამი მისცა ეკონომიკის მართვის თვისებრივად ახალ პრინციპებს მეცნიერულად დასაბუთებული საერთო-სახელმწიფო დაგეგმვის საფუძველზე. მან გზა გაუკვალა ჩვენს მომავალ გმირულ ხუთწლედებს.

ელექტრიფიკაცია, როგორც დიდმა ლენინმა განუმარტა, გახდა განვითარებული სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენების მძლავრი ბერკეტი, საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი. ჩვენს დღეებში მას კვლავინდებურად მთავარი როლი ეკუთვნის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

საბჭოთა ადამიანებს სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ ბევრი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით სამამულო ელექტროენერგეტიკას მოწინავე პოზიციები უკავია მსოფლიოში. ჩვენს ქვეყანაში მოკლე ვადაში შეიქმნა უდიდესი ენერგეტიკული პოტენციალი. ჩვენი ელსადგურები ახლა ორი დღის მანძილზე გამოიმუშავებენ იმდენ ელექტროენერგიას, რამდენსაც პირველ ხუთწლედში ვაწარმოებდით მთელი წლის განმავლობაში. ჩვენ პირველად ჩავაყენეთ ადამიანისა და პროგრესის სამსახურში ატომის მშვიდობიანი ენერგია, წარმატებით ავითვისეთ მსოფლიოს უდიდესი ენერგოგრეგატების წარმოება. სსრ კავშირი უსწრებს საზღვარგარეთის ქვეყნებს თბოფიკაციის განვითარების მასშტაბით. ყველა ეს წარმატება შესაძლებელი გახდა ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებისათვის პარტიის დაუღალავი ზრუნვის მეოხებით. მოპოვებული მიღწევები მოწმობს გოელროს გეგმაში ჩაქსოვილი ლენინური იდეების დიდ გამარჯვებას.

გოელროს გეგმის სამოცი წლის იუბილეს ქვეყანა აღნიშნავს სკკპ XXVI ყრილობის წინ, რომელიც განსაზღვრავს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზით ჩვენი შემდგომი მოძრაობის ახალ მაღალ მიჯნებს. მომავალი ხუთწლეულის უდიდესი მასშტაბის სახალხო-სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში, საბჭოთა ეკონომიკის დინამიკური განვითარების უზრუნველყოფაში ენერგეტიკის როლი კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. ჩვენ უნდა შევუდგეთ ახალი ენერგეტიკული პროგრამის რეალიზაციას, რომელიც უახლოესი წლებისა და ხანგრძლივი პერსპექტივისათვის არის გაანგარიშებული. ეს პროგრამა ითვალისწინებს თვისებრივად შეიცვალოს საობობ-ენერგეტიკული კომპლექსის სტრუქტურა, უწინარეს ყოვლისა იმ გზით, რომ გაიზარდოს ბირთვული ენერგეტიკის წილი, აშენდეს დიდი თბოელექტროსადგურები და გამომუშავრების ქვანახშირის საბადოების ბაზაზე, კიდევ უფრო მეტი ჰიდრორესურსები მოვაქციოთ ენერგეტიკულ ბალანსში მათი კომპლექსური გამოყენების გზით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა ენერგეტიკოსები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობენ, გაიხარებენ სამშობლოს ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის შესახებ ლენინის ანდერძის ხორცშესახსმელად ახალი უთვალსაჩინოესი გამარჯვებებით, შუდამ იქნებიან სახალხო მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის ავანგარდში.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობას და ახალ შრომითს გამარჯვებებს სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ლ. ბრეჟნევი.

პარტიის სიტყვა — მასებში

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პლენუმი

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები თავის რიგებში აერთიანებენ 40 ათასზე მეტ მეცნიერსა და სახალხო მეურნეობის სპეციალისტს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკს, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების მასწავლებელს, კულტურის მუშაკს, ამ ორგანიზაციებს, რომლებიც შექმნილია რესპუბლიკის საწარმოებსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, პარტიის სიტყვა შეაქვთ მასებში, აყალიბებენ ადამიანთა კომუნისტურ შეგნებას, აღზრდიან მშრომელებს ისტორიული სიმართლის უძლეველი იარაღით.

გაიმართა რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმი გახსნა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. კ. ხარაძემ.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

— დღეს, — თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ,— ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი მშობლიური კომუნისტური პარტიის, პატრიოტის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელება, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება. მართლაც რომ ძლევამოსილია კომუნისტური აღმშენებლობის გაქანება, რომელსაც ღირსეული შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე თავის მკაფიო, ღრმამშინაარსიან სიტყვაში ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. პლენუმს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას სიტაპო მნიშვნელობა აქვს როგორც მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისთვის, ისე საერთლობად ჩვენი პარტიის მზადების, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედისა და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივის ძირითად მიმართულებათა ჩამოყალიბებისათვის. სკკპ XXVI ყრილობისათვის ასეთი აქტიური საყოველთაო-სახალხო მზადება ყველა საფუძველს გვაძლევს უკვე ახლა მტკიცედ და დარწმუნებით ვთქვათ, რომ კომუნისტთა უმაღლესი ფორუმი კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება კომუნისტური მშენებლობის გზაზე.

ამ გზაზე გადადგმული ყოველი ნაბიჯი, თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, განუყრელად არის დაკავშირებული სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისადმი შეგნებულ შემოქმედებითს დამოკიდებულებასთან, რადგან განვითარებული სოციალიზმის პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებით, ძლიერია მაშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან, ყველაფერზე შეუძლიათ იმსჯელონ და ყველაფერს შეგნებულად აკეთებენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მიზანმიმართული იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობა, რომლის სახელმძღვანელოდ იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ეს დოკუმენტი, რომელიც ახალი ადამიანის — აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე, პარტიის საქმისადმი, კომუნისტური იდეალებისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანის ჩამოყალიბების გრძელვადიანი პროგრამაა, მოიცავს ყველა იმ მოთხოვნას, რომლებსაც დღეს ცხოვრება უსახავს პარტიას, იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლებს. ეს პარტიის ისტორიაში ნამდვილად საეტაპო დოკუმენტია, რომელიც ჩვენი პარტიის იარაღია იდეოლოგიურ მუშაობაში.

განსაკვირვებელი ცვლილებები მოხდა სამოცდაათიან წლებში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რესპუბლიკამ, თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, დაძლია ბუმორჩენა ბევრი მიჩვენებლის მიხედვით, მტკიცედ გავიდა მოწინავე მიჯნებზე.

ეს საქართველოს, ისევე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ყოველდღიური ზრუნვისა და ყურადღების შედეგია. ეს ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის საქართველოს პარტიული ორგანიზაციის იმ თანამიმდევრული უკომპრომისო ბრძოლის შედეგია, რომელსაც დასაბამი მისცა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ. ეს იმ ჭეშმარიტული მიზანმიმართული იდეოლოგიური მუშაობის შედეგია, რომელიც რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს.

დასახელებულ იქნა იმის კონკრეტული მაგალითები, თუ რა წარმატებებს მიაღწია ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში საქართველომ, რომ ამ მხრივ მშრომელებმა სამშობლოს უპატაკეს მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულება. ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ეს დიდი შრომითი გამარჯვება რესპუბლიკის ყველა მშრომელის თავდადებული გარჯის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების უნარიანი, მიზანმიმართული ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის შედეგია. ეს წარმატება, თქვა მან, ჩვენ ყველას მხურვალედ და გულითადად მოგვილოცავ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ღელვინდ ილიას ძის გულშიჩამწვდომმა მისასალმებელმა სიტყვებმა რესპუბლიკაში კიდევ უფრო გაძლიერა ენთუზიაზმი და შთაგონება, სურვილი იმუშაონ უკეთ, უფრო ნაყოფიერად. ამ მისალმებამ უფრო მჭიდროდ შეაკავშირა მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია ახალი მაღალი მიჯნების მიღწევისათვის ბრძოლაში.

საქართველოს მშრომელთა ყველა წარმატებაში, თქვა შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამეცნიერო, შემოქმედებითი და ტექნიკური ინტელიგენციის მოწინავე რაზმმა, რომელიც რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ ბირთვია. იმაზე, თუ როგორი იქნება ამ დამკვრელური რაზმის, მისი აქტივის საქმიანობის შედეგი, ბევრად არის დამოკიდებული რესპუბლიკის შემდგომი წინსვლა, იმ ახალი გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც გამომდინარეობს პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა შესახებ. საქართველოს სს რესპუბლიკაში ხომ გათვალისწინებულია 30-33 პროცენტით გავზარდოთ მრეწველობის პროდუქციის წარმოება, უპირატესი ტემპით განვავითაროთ ელექტროტექნიკური, ელექტრონული, რადიოტექნიკური მრეწველობა და ხელსაწყოთმშენებლობა. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა გაიზრდება 22-24 პროცენტით. მკვეთრად უნდა გავადიდოთ მარცვლეულის, ჩაის ფოთლის, ყურძნის, ციტრუსების, მეცხოველეობის პროდუქტების საშალო წლიური წარმოება. და ეს უახლოესი წლებისათვის რესპუბლიკის წინაშე დასახული დიდი და პასუხსაგები ამოცანების მხოლოდ მცირე ნაწილია.

ამ ამოცანათა გადაწყვეტა ინტელიგენციის აქტიური მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელია. კერძოდ, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დაასახელა რუსთავის ქიმიურ ქარხანაში ახალი მძლავრი წარმოების—ელექტროლიზური მანგანუმის ორეანგის საამქროს შექმნისათვის ქართველ მეცნიერ ქიმიკოსთა მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობის მაგალითი, აღინიშნა, რომ ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ მნიშვნელობა ამ წარმოებისა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უარი ვთქვათ ძვირად ღირებულ იმპორტულ მოწოდებაზე.

ამასთან ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმას, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეზრუნველყოფაში უშუალო მონაწილეობის გარდა, რომელიც მომწიფებული სოციალიზმის პირობებში ცხოვრების ყველა სფეროში აღწევს, ინტელიგენცია გვევლინება ავრეთვე სოციალურად პასუხისმგებელ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს გავლენა მოახდინოს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის აქტუალური ამოცანების, იდეურ აღმზრდელობითი მუშაობის საკითხების გადაწყვეტაზე. ამიტომ ინტელიგენცია ღრმად და საფუძვლიანად უნდა ერკვეოდეს რესპუბლიკასა და ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში, ამ პროცესების განვითარების ძირითად ტენდენციებში. რესპუბლიკის ინტელიგენციამ თავისი ადგილი უნდა იპოვოს მასებისათვის პოზიტიური პროცესების, ყოველივე მოწინავის, პროგრესულის პროპაგანდასა და განმარტებაში.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დაწვრილებით ილაპარაკა მნიშვნელოვან ძვრებზე, რომლებიც ბოლო წლების მანძილზე ხდება რესპუბლიკაში მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციაში, საწარმოო ურთიერთობის სრულყოფაში. ეკონომიკის რეგიონალურ მართვაში, კერძოდ, აღინიშნა, რომ საინტერესო გამოცდილება შეძენილი სოფლის მეურნეობის მართვაში, აგროსამრეწველო კომპლექსების განვითარებაში. მოსახლეობასთან კოოპერირებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში.

მაგრამ, თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, ბევრი იმ პრობლემათაგანი ჩვენი იდეოლოგიური ინსტიტუტების თვალთახედვის გარეთ რჩება. ეს არ უნდა ხდებოდეს. რესპუბლიკაში შეძენილი გამოცდილება ყურადღებით შესწავლასა და ღრმა მეცნიერულ განზოგადებას მოითხოვს. ამას მარტო ეკონომიკური, კი არა, უდიდესი სოციალური მნიშვნელობაც აქვს. მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსათვის საარსებოდ მნიშვნელოვანი პრობლემა—მთის რეგიონების ათვისება, აქ მოსახლეობის დამკვიდრება, ჭარბი შრომითი რესურსების მქონე რაიონებში სამრეწველო საწარმოთა ფილიალების ქსელის განვითარება. ანდა ავიღოთ ცნობილი აბაშური ექსპერიმენტი, რომელსაც დღეს მარტო აბაშის რაიონში როდი ვხედავთ. ეს ექსპერიმენტი უკვე განვითარდა გურჯაანის, თელავის, მაზრაძის და სხვა რაიონებში, შეიძინა — კიდევ უფრო საინტერესო ასპექტები, რომლებმაც მეურნეობრიობის ფართო სფეროები მოიცვა.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ აბაშური გამოცდილების, აგრეთვე სხვა პროცესების განზოგადება, რომლებიც ახლა მიმდინარეობს და ვითარდება რესპუბლიკაში, მარტო იმისათვის როდია საჭირო, რომ შევაფასოთ ვისმე შრომა. ეს საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, იმისათვის, რომ დროულად გამოვავლინოთ თუნდაც უმცირესი უარყოფითი ტენდენციები. ძნელია ზოგჯერ გაითვალისწინო ყველა ტენდენცია, ფსიქოლოგიური ასპექტები, ტრადიციები და ა. შ. ამიტომ ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ინტელიგენცია, სამეცნიერო საზოგადოებრიობა ღრმად სწვდებოდეს საქართველოში მიმდინარე პროცესებს, სწორად განმარტავდეს მათ, აცნობდეს მშრომელთა მასებს.

ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ საპატიო და კეთილშობილურ მუშაობაში, თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, არ გამოგვრჩეს არც ერთი ადამიანი, უნარიანად გამოვიყენოთ ყველა ეს ტენდენცია, ეს პროცესები მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმის გასაუმჯობესებლად. მიტად საჭიროა თითოეულ მშრომელს განვუმარტოთ პარტიის პოლიტიკა, დავანახვოთ მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილება, მკაფიოდ წარმოვაჩინოთ საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეები. და აქ ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორებზე — იდეოლოგიურ მუშაკებზე, რომლებსაც ყველაზე უშალოდ კონტაქტი აქვთ მშრომელთა კოლექტივებთან. ისინი მოვალენი არიან გააკეთონ გაკეთებით მეტი, ვდრე დღეს, უფრო ღრმა გულდასმით შეისწავლონ და განაზოგადონ ყოველივე დადებითი, დროზე შენიშნონ და უარყონ ნეგატიური, რომ უფრო მტკიცე იყოს ჩვენი წინსვლა.

ლექტორობა ადვილი საქმე როდია. ეს ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და რთული საზოგადოებრივი პროფესიაა, აღინიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ. აქ ხომ, მართლაც რომ, ყოველწლიურად, ყოველდღიურად მაღლდება ადამიანთა ზოგადი განათლებისა და პოლიტიკური მომზადების დონე, ისინი სულ უფრო ინფორმირებული არიან. ამიტომ, აუდიტორია რომ დავაინტერესოთ, ჩვენი ლექცია, საუბარი მიმზიდველი გავხადოთ, ბევრი ძალ-ღონე და დრო უნდა შევალიოთ მას, გულმოდგინედ მოვემზადოთ მსმენელებთან ყოველი შეხვედრისათვის. დღეს ძალიან ბევრად მუშაობა აღარ გვარგებს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებში. არც ერთი წუთით არ უნდა შევანელოთ ყურადღება ამ პრობლემისადმი, რომელიც მოითხოვს მუდმივ ზრუნვას, მუდმივ მუშაობას, სერიოზულ მეცნიერულ მიდგომას და ეპოქის მოთხოვნათა გათვალისწინებას. ეს განსაკუთრებით საჭიროა ჩვენში, საქართველოში, სადაც შეხმატკბილებულ ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ ბევრი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. ისტორიული გამოცდილება მოწმობს, თქვა მან, რომ ბურჟუაზიული პროპაგანდა ცდილობს ყოველნაირად შეარყიოს კომუნისტური იდეალებისადმი საბჭოთა ადამიანების რწმენა, სახელი გაუტეხოს სოციალიზმს, განხითქილება ჩამოაგდოს კომუნისტური და მუშათა მოძრაობის რიგებში. ყველა იდეოლოგიურმა მუშაკმა, მათ შორის საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორებმა, რომლებიც იდეოლოგიური ბრძოლის მოწინავეა ფრონტზე არიან, უნდა დაანახვონ ადამიანებს მტრული პროპაგანდის სიყალბე და ცილისწამება, ნათელი, პოპულარული ფორმით ამხილონ მისი ვერაგული ხერხები და მეთოდები.

ამასთან დაკავშირებით ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე შეეხო იმ ადამიანების საქმიან და ზნეობრივ თვისებებს, რომლებსაც ცოდნა შეაქვთ მასებში, რესპუბლიკაში ლექციური პროპაგანდის თვით ორგანიზაციას. დადებითს მომენტებთან ერთად მან მოიყვანა ლექციური პროპაგანდის არასწორად წარმართვის მაგალითები. ითქვა, რომ აქ ძირითადი სენია, ჯერ ერთი, დაბალი კომპეტენტურობა იდეოლოგიურ მუშაობაში, მეორე, პრიმიტივიზმი და, მესამე, აშკარა ფორმალიზმი, როცა ლექცია ეწყობა ლექციის გულისთვის, აგიტსაუბარი — აგიტსაუბრის გულისთვის, პოლიტსწავლება — პოლიტსწავლების გულისთვის. კერძოდ, აღინიშნა, რომ რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნაში“ ჯერ კიდევ არიან ლექტორები, რომლებიც რაოდენობას გამოდევნებულნი დღეში შვიდ ლექციას კითხულობენ ხარისხის ხარჯზე. რა არის ეს, თუ არა თვალის ახვევა? რა შედეგი უნდა მოგვაცეს ამგვარმა ლექციებმა? ლექციების მოწყობა უნდა დაიგეგმოს რეალურ შესაძლებლობათა შესაბამისად, ისე, რომ ვნება არ მიადგეს ლექციების ხარისხს.

აღნიშნა რა საზოგადოების მუშაობაში არსებული ამ და სხვა სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრის დიდი მნიშვნელობა, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საჭიროა საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, გულისხმიერი რეაგირება აუდიტორიის ყველა კითხვაზე. შრომითს კოლექტივში მისვლისას, თქვა მან, ლექტორმა უნდა იცოდეს რა აინტერესებს, როგორი გაწყობილება აქვს, რა პრობლემები აწუხებს კოლექტივს. უამისოდ ლექცია, საუბარი არასრულფასოვანი, ზერელე იქნება, არ დაინტერესებს მსმენელებს. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა მთელი ლექციური პროპაგანდის ეფექტიანობის, ქმედითობის ამაღლება, ზრუნვა ლექტორების საქმიანი კვალიფიკაციისათვის, მათი იდეური მომზადებისათვის. საგანგებოდ ითქვა, რომ რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნაში“ უნდა შეიქმნას მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა ლექტორთა კადრების მოსამზადებლად, სალექციო მუშაობაში ყველაზე უფრო მომზადებული, ყველაზე კომპეტენტური, იდეურად მტკიცე ამხანაგების ჩასამაგრად, რომლებსაც უნარი შესწევთ გაადიერელონ მასებში პარტიის ცოცხალი, მართალი სიტყვა.

რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ წინაშე მდგომი მთელი ამ დიდი და პასუხსაგები ამოცანების საფუძველზე, თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით შეგვითავაზებინა პლენუმისათვის გარკვეული ცვლილებები შეიტანოს მისი ხელმძღვანელობის სტრუქტურაში. კერძოდ, ჩვენი აზრით, საქმისათვის უკეთესი იქნება, თუ საზოგადოებას ეყოლება საპატიო თავმჯდომარე, ხოლო გამგეობას— თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნა“, მისი აქტივი, ისევე, როგორც რესპუბლიკის მთელი ინტელიგენცია, ლენინური პარტიის, საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის საიმედო საყრდენი იქნება ყველაზე ბედნიერი—კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის კეთილშობილურ საქმეში.

საქართველოს მშრომელები, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმული მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, თქვა ბოლოს ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, ემზადებიან ღირსეულად აღნიშნონ რესპუბლიკის, ისტორიის სახელოვანი ნიშანსვეტები — საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავი, გეორგიევსკის ტრაქტატის, იმ ისტორიული დოკუმენტის ხელმოწერის მე-200 წლისთავი, რომელმაც ერთმანეთს სამარადისოდ დაუკავშირა ქართველი და რუსი ხალხების ბედ-იღბალი. საზოგადოება „ცოდნის“, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა იდეოლოგიური ინსტიტუტის, ამოცანა ის არის, რომ მთელი სიდიადით წარმოაჩინოს სამოცი გმირული წლის მანძილზე მოპოვებული გრანდიოზული მიღწევები, საბჭოთა საქართველოს ძლევამოსილი წინსვლა კომუნისტური აღმშენებლობის გზით.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“, საქართველოს შემოქმედებითი, მეცნიერული და ტექნიკური ინტელიგენციის წინაშე სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობასთან დაკავშირებით. ეს ყრილობები დასახავენ სოციალური და ეკონომიკური მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამებს, განსაზღვრავენ პარტიის მთელი იდეოლოგიური საქმიანობის ღონის შემდგომი ამაღლების გზებს.

იდეოლოგიური ფრონტის ყოველი მუშაკის ღირსების საქმეა პარტიისა და ჩვენი ქვეყნის, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის ხალხის ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს შეხვდეს პირნათლად, მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე. ამ უმაღლეს ფორუმებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ პროპაგანდა გავუწიოთ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ჩვენი ქვეყნისა და საქართველოს სს რესპუბლიკის მიღწევებს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილება თ ა, მეათე ხუთწლედის დავალებათა და ვალდებულებათა განხორციელებაში.

პლენუმმა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ საპატიო თავმჯდომარედ აირჩია რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. კ. ხარაძე.

პლენუმმა გაათავისუფლა დ. ვ. გოგოხია საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და გამგეობის პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან, პენსიაზე გასვლის გამო.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარედ და პრეზიდიუმის წევრად არჩეულია ნ. ვ. კომახიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ჟ. კ. შარტავა, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ს. ჯარაბასოვი. (საქინფორმი).

22 დეკემბერი ენერგეტიკის დღეა

„დავამთავროთ ჟინვალის ჰიდროკვანძის მშენებლობა“. ეს ბნკარი, რომელსაც ვკითხულობთ სკკპ XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში „სსრ კავშირის ეკონომიკურ და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“, ჰიდრომშენებელთა მოქმედების საბრძოლო პროგრამა გახდა. ფართო ფრონტით წარმოებს სამუშაოები ბობოქარი არაგვის მოსათვინიერებლად.

ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური თავისი ოთხი აგრეგატით, რომელიც განლაგებულია მიწისქვეშა დარბაზში, წელინდში გამოიმუშავებს 500 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

სურათზე: მონინავე ჰიდრომშენებლები (მარცხნიდან) გვირაბგამყვანი ტ. ფრიდონაშვილი, ჟინვალის ჰიდროელექტროსადგურის მიწისქვეშა შენობის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი ბ. ბრეგვაძე და ცვლის ინჟინერი ა. გამთენაძე.

ხ. ედიშვერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩრდილოეთის საზღვაო გზის ტრასით

„რუსეთის ძლიერებას გზრდის ციმბირი...“ — უთქვამს დიდ რუს მეცნიერს მ. ვ. ლომონოსოვს, რომლის გენიალობამ საშუალება მოგვცა ასწლეულობით ადრე შეგვეხედა და დაგვენახა ამ ოდესღაც ველური მხარის ნამდვილი სიდიადე. მაგრამ, როცა დღეს მის წინასწარმეტყველურ სიტყვებს ვიხსენებთ, ყოველთვის როდი გვახსოვს, რომ ამ სიტყვებს აქვს გაგრძელება. „...და ჩრდილოეთის ოკეანე“.

კოლოსალურად მდიდარი მხარეა ჩრდილოეთი. არქტიკული ზონას, რომელიც ყინულოვანი ოკეანის შელფს შეიცავს, სსრ კავშირის ტერიტორიის 40 პროცენტი უკავია. აქ თავმოყრილია ბუნებრივი გაზის, ქალის, ნაკელის, სპილ ე ნ ძის, ქვიანსაშობ ი ლ ო ო ნ ი ლ ი ნ ი ს, ნავთობის, ქვანახშირის, ვოლფრამის, კობალტის, ვერცხლისწყლის მარაგი. მისი სიმდიდრეების პოვნა, მათი მოპოვება უაღრესად რთული ამოცანაა, მის გადაწყვეტაზე მუშაობს მრავალი სპეციალისტი, მათ შორის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების მეცნიერებიც.

ახლახან ჩრდილოეთის საზღვაო გზით მოგზაურობიდან დაბრუნდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ეკონომიკური ექსპედიცია. ექსპედიციაში. ეკონომისტთა გარდა მონაწილეობდნენ სხვა მეცნიერებათა წარმომადგენლებიც.

მეცნიერები, რომლებმაც 45 დღეში არხანგელსკიდან ანადირამდე წყლით 4100 მილი გაიარეს, თვითმფრინავებითა და ვერტმფრინავებით 10 ათასზე მეტი კილომეტრი იფრინეს, იყვნენ თითქმის ყველა დასახელებულ პუნქტში სამრეწველო საწარმოებში

საკავშირო ცხოვრება
ლენინგრადის ჭეშმარიტი

**საკავშირო ცხოვრების ... ლენინგრადის ... ...

22 დეკემბერი ენერგეტიკის დღეა!

კომუნიზმის მატერიალური ბაზა

60 წლის წინათ, 1920 წლის 22 დეკემბერს, სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა საბჭოთა რუსეთის ელექტრიფიკაცია განსაზღვრა როგორც ახალი საზოგადოებრივი წყობილების — კომუნიზმის მატერიალური ბაზა. სწორედ ამ დღეს ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ქვეყნის ელექტრიფიკაციას, მიღებულ იქნა გოელროს გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 10-15 წლის განმავლობაში ოცი თბო და ათი ჰიდროელექტროსადგურის აშენებას.

გოელროს გეგმა წარმატებით შესრულდა 1935 წლისათვის, 30 სადგურის ნაცვლად საელექტროფიკაციოდ 40 ელექტროსადგური გადაეცა და ენერგიის გამომუშავებამ წელიწადში 20 მილიარდ კილოვატსაათს მიაღწია, ეს კი ორჯერ სჯარბობდა გათვალისწინებულს.

შემდგომში ეს დარგი უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა და უკვე 1940 წლისათვის ელექტროსადგურთა საერთო სიმძლავრემ 21 მილიონ კილოვატს გადააჭარბა, რაც შვიდჯერ აღემატებოდა გოელროს გეგმით ნავარაუდევს. ამ მაჩვენებლით საბჭოთა კავშირმა ევროპაში მეორე და მსოფლიოში მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ჩვენმა ქვეყანამ ელექტროენერგიის გამომუშავების მხრივ გაუსწრო ისეთ განვითარებულ ქვეყნებს, როგორიცაა ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და შვეიცია.

ამ დარგის ნამდვილი აღმავლობა საქართველოში 1921 წლიდან დაიწყო. ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას ვ. ი. ლენინმა პირადად დაუჭირა მხარი. მისი მითითებით შრომისა და თავდაცვის საბჭომ ზემოავჭალის ჰიდროელსადგურის მშენებლობა საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტად გამოაცხადა და უზრუნველყო იგი საჭირო კაპიტალდაბანდებით, მოწყობილობითა და საშენი მასალებით.

ზაჰესის მშენებლობა 1922 წლის 10 სექტემბერს დიდი შაბათობით დაიწყო. მასში თბილისისა და მახლობელი სოფლების 4 ათასამდე მშრომელი მონაწილეობდა. ზაჰესის პირველი რიგის მშენებლობა ხუთ წელიწადში, 1927 წლის 26 ივნისს დამთავრდა. ზაჰესის ყველა ჰიდროკვანძი დღესაც საიმედოდ მუშაობს და განუწყვეტლივ ამარაგებს ენერგიით სახალხო მეურნეობას. ამავე დროს იგი მეოცე საუკუნის დასაწყისის მატერიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლია.

განსაკუთრებით ბევრი გაკეთდა რესპუბლიკის ენერგოსისტემის განვითარებისათვის სამამულო ომის შემდეგ. მწყობრში ჩადგა ხრამესის, სოხუმესის, ორთაჭალესის, შაორპესის, სამგორკპესის კასკადები, ტყიბულესი, გუმათაესი, სოჯანურესი, თბილისი-თბოელექტროსადგური და სხვა მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები. მეათე ხუთწლედში დამთავრდა ვარციხესისა და ენგურჰესის მშენებლობა და მათმა საერთო სიმძლავრემ საქართველოს მთელი ელექტროსადგურების სიმძლავრის 42 პროცენტი შეადგინა.

ამჟამად რესპუბლიკის ენერგოსისტემაში 8 თბო და 61 ჰიდროელექტროსადგური მუშაობს. მათი საერთო სიმძლავრე 4070 ათას კილოვატს შეადგენს. ელექტროქსელების გადამცემი ხაზის სიგრძემ 81345 კილომეტრს, ხოლო ქვესადგურების რაოდენობამ 7852 ერთეულს მიაღწია. წელს საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავება თითქმის 14 მილიარდ კილოვატსაათს შეადგენს, ეს კი ნაოლად მეტყველებს საქართველოს ენერგოსისტემის განვითარების მასშტაბსა და ტემპზე.

ჩვენმა რესპუბლიკამ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დიდ წარმატებებს მიაღწია და ვადამდე შეასრულა მეათე ხუთწლედის გეგმები. ამ საქმეში, ცხადია, გარკვეული წვლილი ენერგეტიკულ მეურნეობასაც მიუძღვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXVI ყრილობისათვის „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები“ მეთერთმეტე ხუთწლედში საქართველოში წარმოების მოცულობის ზრდას 30-33 პროცენტით ითვალისწინებს. ამისათვის აუცილებელია ელექტროენერგეტიკის უპირატესი განვითარება. კერძოდ, ნავარაუდევია ჟინვალ-ჰესის ჰიდროკვანძის დამთავრება, ხუდონ-ჰესის მშენებლობის გაგრძელება და ნამახვანის ჰესის მშენებლობის დაწყება.

ისმება კითხვა — საკმარისია თუ არა ორი ხუთწლედის განმავლობაში ზემოაღნიშნული ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემით საქართველოს ენერგეტიკის უპირატესი განვითარების უზრუნველყოფა? თუ ენერგოსისტემის ენერგობალანსს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ჩვენში ახლაც მკვეთრად გამოხატული ბაზისური სიმძლავრის დეფიციტი იგრძნობა. საქართველოს ენერგოსისტემაში ძირითადი, ადგილი ჰიდროელექტროსადგურებს უჭირავთ. მათი გამომუშავება კი სეზონური და პიკური ხასიათისაა. საქმე ის არის, რომ წყალსაცავებში დაგროვილი მარაგი მხოლოდ პიკური დატვირთვის დასაფარავად კმარა. საქართველოს ენერგეტიკულ-ბაზისური სიმძლავრეები პროცენტული რაოდენობით საგრძნობლად ჩამორჩება საკავშირო მაჩვენებლებს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ზამთარში ენერგიის დიდ ნაკლებობას განიცდის.

ამიტომ აუცილებელია ჩვენს რესპუბლიკაში მძლავრი ბაზისური ატომური ელექტროსადგური აშენდეს. თანამედროვე პირობებში ატომურმა ენერგეტიკამ უკვე შეასრულა გარკვეული როლი ენერგეტიკული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.

თბოენერგეტიკის სხვა სახეობებთან შედარებით ატომურ ენერგეტიკას რამდენიმე უპირატესობა აქვს. იგი სხვაზე უფრო საიმედოა, არ იწვევს ატმოსფეროს გაჭუჭყიანებას, ათავისუფლებს რკინიგზას დიდი მოცულობის სათბობის გადაზიდვისაგან და სხვა. პერსპექტივაშია მზისა და ქარის ენერგიის გამოყენება, დიდი მომავალი აქვს აგრეთვე თერმობირთვულ სინთეზს, მაგრამ ეს ყველაფერი მომავლის საქმეა. დღეს კი საჭიროა ვიზრუნოთ ენერგიის რაციონალურ ხარჯვაზე, მის მომჭირნეობაზე. ენერგეტიკის საკითხების გადაჭრა — ქვეყნის ყოველდღიური, პასუხსაგები და უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა.

ი. ჰედია,
„საქმთავარენერგოს“ უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლ „ხიდაშელის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებაში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „**ხიდაშელი**“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 19 დეკემბერი.

საპატიო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

იყალთოს რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მუშაობისათვის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის ამხ. გიორგი ელიზბარის ძე **შათირიშვილს** მიენიჭა საპატიო წოდება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“.

მხატვრული თვითმოქმედების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „**ხიდაშელს**“ მიენიჭა „საპატიო წოდება „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“.

პროფკავშირების დიდმნიშვნელოვანი ამოცანები

საქართველოს მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს ხუთწლიანი დავალება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპის მიხედვით. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 700 მილიონი მანეთის სამრეწველო ნაწარმი და 450 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია. მოწეულია ჩაის ფოთლისა და ყურძნის რეკორდული მოსავალი, შესამჩნევად გაიზარდა კაპიტალდაბანდებათა ათვისების მოცულობა, გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება.

ამ წარმატებათა მიღწევაში დიდი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. ეს ითქვა საქართველოს პროფსაბჭოს XI პლენუმზე, რომლის მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები, რომლებსაც საფუძვლად უდევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის დებულებები და დასკვნები, რომლებიც რაზმავენ მშრომელებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის თ. მოსაშვილის მოხსენებაში, პლენუმზე გამოსულთა სიტყვებში აღნიშნული იყო, რომ უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაიზარდა პროფკავშირთა როლი და გავლენა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე. ეფექტიანი საშუალება, რომელმაც უზრუნველყო მათი ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება და მათი საქმიანობა უფრო მიზანდასახული და კონკრეტული გახადა, არის სამეურნეო ორგანოებთან ერთად სოციალურ საკითხთა ხუთწლიანი კომპლექსური გეგმების ერთობლივი შედგენის პრაქტიკა. და რაც განსაკუთრებით არსებითია, შეიქმნა ამ გეგმების შესრულების ქმედითი, მწყობრი კონტროლის სისტემა შრომითი კოლექტივით დაწყებული და საქართველოს პროფსაბჭოთი დამთავრებული.

უფრო აქტიური გახდა საქართველოს პროფკავშირების მონაწილეობა დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, მიღწეულია სამუშაო დროის დანაკარგების მნიშვნელოვანი შემცირება. მიმდინარე წლის მარტიდან ცხრა თვეში იგი მრეწველობაში შემცირდა თითქმის 20 პროცენტით, ხოლო საავტომობილო ტრანსპორტზე — 24 პროცენტით. ბევრი რამ გაკეთდა მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

ამასთან ერთად პლენუმზე აღინიშნა, რომ დრო პროფკავშირების მუშაობას გამუდმებით უყენებს სულ უფრო ახალ, გადიდებულ მოთხოვნებს განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ეს გამოწვეულია არა მარტო ამოცანების გართულებით, არამედ იმითაც, რომ ხარვეზები, დისპროპორცია და ჩამორჩენაა ცალკეულ უბნებსა და რგოლებში, რაც აფერხებს მთელი რიგი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტას.

პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებები და კრიტიკისა და თვითკრიტიკის პოზიციებიდან ილაპარაკეს ხარვეზებზე და ნაკლოვანებებზე. კერძოდ, არ სრულდება მზესუმზირას, სოიისა და ნივრის დამზადების გეგმები. ამის მიუხედავად სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი საკმაო პრინციპულობით არ ეკიდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ზრდის საკითხების გადაწყვეტას, სოციალური ამოცანების განხორციელებას.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXVI ყრილობისათვის და რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები“ გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ზ. კვაჭაძემ. მოხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ეს დოკუმენტი, რომელიც ასახავს ჩვენი პარტიის სტრატეგიასა და ტაქტიკას ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვან საკითხებში, შედგენილია ოთხმოციანი წლების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს საქართველოს პროფსაბჭოს მდივნის ზ. ლაბახუას მოხსენება „რესპუბლიკის პროფკავშირების 1981 წლის ბიუჯეტის თაობაზე და 1979 წლის პროფბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

განხილულ საკითხებზე მიღებულია დადგენილებანი.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია. (საქინფორმი).

საბჭოთა მშენებლობის პრაქტიკა

რაიაღმასკომის მდივანი

თუ ყურადღებით ჩავუკვირდებით ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს, იოლად შენიშვავთ, რომ სულ უფრო ვითარდება იმ საშუალებების, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის ტენდენცია, რომლებსაც ისინი სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად იყენებენ. ეს სავსებით კანონზომიერი პროცესია. ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე სულ ახალ და ახალ საკითხებს სვამს. ხელისუფლებისა და მართვის ადგილობრივი ორგანოები ამ კითხვებზე პასუხს ეძიებენ და თითოეული საქმის გადაწყვეტისას ისეთ საშუალებებს მიმართავენ, რომლებიც საუკეთესოდ უზრუნველყოფს საბოლოო მიზნის მიღწევას. ეს კი შემოქმედებითს მიდგომას მოითხოვს.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ამა თუ იმ საბჭოს წარმატება დამოკიდებულია თითოეული დეპუტატის აქტიურობაზე. დიახ, ეს უდავოა. მაგრამ მცირე მნიშვნელობა როდი აქვს იმასაც, თუ როგორ ხდება მათი საქმიანობის ორგანიზება და წარმართვა, როგორ როლს ასრულებენ ამაში აღმასრულებელი თუ განმკარგულებელი ორგანოები, მისი აპარატის თანამშრომლები. ამის თაობაზე უფრო იშვიათად წერენ და ლაპარაკობენ. იქნებ იმიტომ, რომ აპარატის მუშაობა იმგვარია, რომ ყოველთვის ერთბაშად არ ჩანს იგი. მართლაც, განა შეიძლება შეადარო იგი წარმოების, სადაც ყოველდღიურად ჩანს საბოლოო პროდუქციის რაოდენობაც და ხარისხიც. აპარატში ყოველივე სხვაგვარად არის. მაგალითად, როგორ უნდა იმსჯელო ამა თუ იმ თანამშრომელზე? დამუშავებული ქაღალდების რაოდენობით თუ ტელეფონის რეკვის რიცხვით? დადეთანხმებით, რომ ეს მაჩვენებლად ვერ გამოგვადგება. ამასთანავე, მათი საქმიანობის შეფასება საჭიროა. და თუ ჩვენ დღენიადაგ ვსწავლობთ და პროპაგანდას ვუწევთ საუკეთესო დეპუტატთა გამოცდილებას, რატომ ასევე თანამიმდევრულად არ უნდა შევისწავლოთ ამათი მუშაობის პრაქტიკა, ვინც ბევრ რამეს მიაღწია მართვის ხელოვნების დაუფლებაში, ადამიანებთან მუშაობაში.

ავიღოთ, მაგალითად, ისეთი თანამებრძოლი, როგორიც არის რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი, ხელისუფლების ორგანოების სხვადასხვა რგოლში მუშაობის მრავალი წლის მანძილზე ამ თანამდებობებზე მომუშავე მრავალი ადამიანის საქმიანობისათვის მიეგენებია თვალი. და აი, ახლა, როცა მათ ვიხსენებ, გონებაში თვალს ვავლებ მათ საქმიანობას, ერთმანეთს ვუდარებ მათს ქცევას, და უხებურად მაგონდება ცნობილი აფორიზმი: „სტილი — ეს ადამიანია“. დიახ, როგორც არ არსებობს ერთნაირი ადამიანები, ისევე არ არსებობს ერთმანეთის მსგავსი რაიაღმასკომის მდივნები, ლაპარაკია რა თქმა უნდა, არა გარეგნულ მსგავსებაზე, არამედ მათი მუშაობის მეთოდებსა და ხერხებზე. ყოველ მათგანს თავისი სტილი აქვს და ეს თავის ბეჭედს ასვამს აპარატის საქმიანობას, მრავალმხრივ განსაზღვრავს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს საქმიანობის ეფექტიანობას.

ქ. თბილისის ლენინის რაიონული საბჭო სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ რესპუბლიკაში. აქ ხშირად ჩამოდიან საბჭოთა მუშაკები, რათა ადგილზე გაეცნონ შეძენილ გამოცდილებას, რაღაც ისწავლონ, რაღაცაში მიბაძონ მათ, უდავოდ, აინტერესებთ წარმატებათა „საიდუმლოებანიც“, ისიც, რაზეც დამოკიდებულია ეს წარმატებანი. მაგრამ გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ასეთ საიდუმლოებათა მიგნება ხანმოკლე ყოფნის პერიოდში ყოველთვის და ყველაფერში არ ხერხდება. ვფიქრობ, ამ წარმატებათა მიზეზების უკეთ გაგებაში დაგვეხმარება რამდენიმე სიტყვა აღმასკომის მდივნის— ეთერ ისაკის ასულ ლელაშვილის შესახებ.

აი უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც მდივნის პოსტი უკავია, მანამდე კომკავშირული მუშაკი, ტრიკოტაჟ-სართავი კომბინატის პარტკომის მდივანი იყო. დამთავრებული აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სამწლიანი უმაღლესი პარტიული სკოლა. მინდა სწორად გამიგოთ: მე სრულიადაც არ ვეპირებ დავაკნინო თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, აღმასკომის სხვა წევრების, აგრეთვე აპარატის დანარჩენი თანამშრომლების როლი. არა. უბრალოდ ამჯერად ჩემი ბჭობის თემაა მდივანი. მას შემდეგ, რაც ეთერ ლელაშვილი მდივნად მუშაობს, უკვე ექვსი აღმასკომის თავმჯდომარე გამოიცვალა. იგი კი ერთ ადგილზე რჩება. ცუდია ეს თუ კარგი? აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეეხედავთ ამას. ალბათ, იქნებიან ადამიანები, რომლებიც იტყვიან: შემორჩაო. აი თვითონ ეთერ ლელაშვილი კი ასე არ იტყოდა: იგი ფრიად კმაყოფილია თავისი მდგომარეობით. მოს ფონს ეს თანამდებობა. თვითონ დეპუტატებიც, აპარატის თანამშრომლებიც კმაყოფილი არიან. არსებითად სულ სხვადასხვა ხასიათის ადამიანები, ისინი უყოყმანოდ ლელაშვილს სანიმუშო მუშაკად თვლიან. რით დაიმსახურა ესოდენ მაღალი შეფასება? რა თავისებურება ახასიათებს მის სტილს? რისგან შედგება იგი?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა იოლი არ არის. თვით ახლანდელ აღმასკომის თავმჯდომარეს ეგაა ადეიშვილსაც, რომელმაც ბევრი რამ ისწავლა თავისი კოლეგისაგან, უჭირს რაიმე კონკრეტული გამოყოფა. და მხოლოდ მაშინ, თუ უჩუმრად ადევნებთ თვალს მის ურთიერთობას აღმასკომის ხელმძღვანელებთან, მუშაკებთან, დეპუტატებთან, თუ გააანალიზებთ როგორ აგებს იგი თავის სამუშაო დღეს, როგორ ურჩევს სხვებს და რჩევას მოითხოვს სხვებისაგან, როგორ წყვეტს საკითხებს, როგორ იღებს ადამიანებს, დაასკვნით, რომ ეთერ ლელაშვილისათვის დამახასიათებელია იშვიათი თადარიგიანობა და კომპეტენტურობა, ადამიანთა საჭიროებებისადმი გულისხმიერება და ყურადღება. იგი ძალზე გულისყურით ეკიდება საბჭოს, მისი აღმასკომის თითოეული გადაწყვეტილების პროექტს, მუდამ მზად არის დაეხმაროს მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეებს, ტაქტიანად შეახსენოს, თუ რა გამორჩათ თვლთახედვის არიდან, უნარიანად აწყობს აღმასკომის აპარატისა და განყოფილებათა მუშაობას.

თავის სამუშო დღეს ე. ლელაშვილი ყოველთვის საერთო განყოფილების გამგესთან საუბრით იწყებს. და ეს შემთხვევითი არ არის. აქ შემოდის შრომელთა წერილები, განცხადებები და საჩივრები, ე. ი. სულ სხვადასხვაგვარი ინფორმაცია. მისი დროული და კვალიფიციური ანალიზი მდივანს ეხმარება სწორად განსაზღვროს და მიიღოს გონივრული ღონისძიებანი, რომლებიც ან თავიდან ააცილებს უარყოფით შედეგებს, ან საერთოდ გამორიცხავს უარყოფითი მოვლენის ფორმირებას. გარდა ამისა, ეს, ერთი შეხედვით, ნაკლებად შესამჩნევი სამუშაო სამუალებას აძლევს ჩასწვდეს ადამიანთა განწყობილებას და მოთხოვნილებებს. საქმისადმი ამგვარ მიდგომას ასწავლის სხვებსაც, რადგან, მისი აზრით, აპარატის ნებისმიერი მუშაკი უურადღებით უნდა ეკიდებოდეს ცხოვრებისეულ სიტუაციებს. ანალიზებდეს ვითარებას, არჩევდეს და აჯგუფებდეს ფაქტებს, წვდებოდეს მიმდინარე პროცესების არსს და ამის საფუძველზე ხედავდეს ამა თუ იმ პრობლემის აქტუალობას.

სამუშაო დროის მნიშვნელოვან ნაწილს ეთერ ლელაშვილი აღმასკომის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხებს უთმობს. ეს არის საბჭოს სესიების, აღმასკომის სხდომების მომზადება და მოწყობა, მუდმივ კომისიათა მოქმედების კოორდინაცია, საბჭოს და მისი აღმასკომის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება. საკითხთა ამგვარი, არცთუ სრული ნუსხა წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, რომ მათი გადაწყვეტა უხდებათ არა ეპიზოდურად, არამედ ყოველდღიურად, რომ საორგანიზაციო მუშაობა პრაქტიკულად ეხება საბჭოს და მისი ორგანოების საქმიანობის ყველა მხარეს.

რატომ ვლაპარაკობ ამაზე? იმიტომ, რომ ლენინის რაიაღმასკომში თავმჯდომარეს, მის მოადგილეებსა და მდივანს შორის მოვალეობათა განაწილების შესაბამისად საორგანიზაციო-მასობრივ მუშაობას კურირებას უწევს ეთერ ლელაშვილი. და განა სწორედ ეს უბანი არ მოითხოვს ინიციატივას და შემოქმედებას, საბჭოთა კანონმდებლობის კარგად ცოდნას.

ავიღოთ აღმასკომის ცხოვრების ხშირად ერთი მომენტი: მზადდება საბჭოს მორიგი სესია. ეთერ ლელაშვილი განათლებით იურისტია. მან კარგად იცის საბჭოთა კანონმდებლობა და, რა თქმა უნდა, ეს დიდად ეხმარება გაერკვეს ამა თუ იმ სიტუაციაში, უადვილებს დეპუტატს საქმიანობის „ტექნოლოგიისათვის“ მუშაობას, სწორი რჩევის მიცემას იქ, სადაც ეს საჭიროა. აპარატის თანამშრომლები და დეპუტატები კი ფრიად მგრძნობიარენი არიან ამგვარი ფაქტებისადმი და ეთერ ლელაშვილს აფასებენ უწინარეს ყოვლისა მისი სულგრძელობისათვის, ადამიანის გონებასა და გულზე ზემოქმედების უნარისათვის.

ზოგს ჰგონია, აღმასკომის მდივნისათვის მთავარი საქმის წარმოებაა. ეს არ უნდა იყოს სწორი. უფრო მართალნი არიან ისინი, ვინც მას „შტაბის უფროსს“ უწოდებს. როგორც ცნობილია აღმასკომის თავმჯდომარე საერთო მთლიანობაში ხელმძღვანელობს რაიონული საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს მუშაობას. იგი, როგორც იტყვიან, „მთავარსარდალია“. რაც შეეხება მის მოადგილეებს, ისინი პასუხს აგებენ მუშაობის იმ უბნისათვის, რომელიც მინდობილი აქვთ აღმასკომის გადაწყვეტილებით, ხელმძღვანელობენ კონკრეტულ დარგობრივ განყოფილებებს და სამმართველოებს.

აღმასკომის მდივანი? მისი მოვალეობანი იმდენად ფართოა, რომ, შეიძლება ითქვას, უფრო იოლია იმის თქმა, თუ რაზე არ უნდა მუშაობდეს. სწორედ მდივანი ამუშავებს აღმასკომის საქმიანობის მთელ „სტრატეგიასა და ტაქტიკას“. მართლაც, ბევრი მისი მოვალეობა საქმის წარმოებასთან, როგორც იტყვიან, ქაღალდებთან არის დაკავშირებული. მაგრამ ამით როდი ამოწურება მისი მუშაობა. რაიაღმასკომების მდივნებს შორის, რომლებსაც კი მე ვიცნობ, ბევრია მასობრივი მუშაობის კარგი ორგანიზატორი. ავიღოთ, მაგალითად, ბეჟან იასონის ძე მშვიდობაძე, რომელსაც უკვე თხუთმეტი წელია ეს თანამდებობა უკავია გორის რაიონული საბჭოს აღმასკომში, მანამდე ხუთ წელს აქვე მუშაობდა აღმასკომის მდივნად, რომ რაიმე მიზეზის გამო მოსამზადებელ დოკუმენტში შეიტანონ რეკომენდაციები, რომლებიც კანონმდებლობას არ შეესაბამება, და დაუბაზანონ თანამდებობის პირებს. განა ეს ხელს შეუწყობს აღმასკომისა და მთლიანად საბჭოს ავტორიტეტის ზრდას? რა თქმა უნდა, არა.

ამაზე ლაპარაკი იმიტომ გვიხდება, რომ, სამწუხაროდ, გადაწყვეტილებებში ჯერ კიდევ ვხვდებით კანონიდან გადახვევას, ილახება მეურნეობების, დაწესებულებების, ცალკეული მოქალაქეების უფლებები. ეს კი სრულიად შეუწყნარებელია! საბჭოები კანონის სადარაჯოზე უნდა იდგნენ და თუ ისინი თვითონ დაარღვევენ კანონებს, მაშინ როგორ „საბაბს“ მისცემენ სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს! ამის შედეგია ხოლმე მცდარი ბრძანებანი, განკარგულებანი და მითითებანი. სწორედ ამიტომ აღმასკომის მდივანი დაინტერესებულია, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების პროექტი კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად, საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში იყოს შედგენილი. მდივანი პასუხს აგებს იურიდიულად დასაბუთებული, წინგნიერი დოკუმენტების მომზადებისათვის აღმასრულებელ კომიტეტის მიმდინარე საქმიანობის სულ სხვადასხვა საკითხზე. შემთხვევითი როდია, რომ აღმასკომისა და საბჭოს გადაწყვეტილებებს, სხვა დოკუმენტებს თავმჯდომარის ხელმოწერის შემდეგ აუცილებლად აწერს ხელს მდივანი.

ეთერ ლელაშვილი განათლებით იურისტია. მან კარგად იცის საბჭოთა კანონმდებლობა და, რა თქმა უნდა, ეს დიდად ეხმარება გაერკვეს ამა თუ იმ სიტუაციაში, უადვილებს დეპუტატს საქმიანობის „ტექნოლოგიისათვის“ მუშაობას, სწორი რჩევის მიცემას იქ, სადაც ეს საჭიროა. აპარატის თანამშრომლები და დეპუტატები კი ფრიად მგრძნობიარენი არიან ამგვარი ფაქტებისადმი და ეთერ ლელაშვილს აფასებენ უწინარეს ყოვლისა მისი სულგრძელობისათვის, ადამიანის გონებასა და გულზე ზემოქმედების უნარისათვის.

ზოგს ჰგონია, აღმასკომის მდივნისათვის მთავარი საქმის წარმოებაა. ეს არ უნდა იყოს სწორი. უფრო მართალნი არიან ისინი, ვინც მას „შტაბის უფროსს“ უწოდებს. როგორც ცნობილია აღმასკომის თავმჯდომარე საერთო მთლიანობაში ხელმძღვანელობს რაიონული საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს მუშაობას. იგი, როგორც იტყვიან, „მთავარსარდალია“. რაც შეეხება მის მოადგილეებს, ისინი პასუხს აგებენ მუშაობის იმ უბნისათვის, რომელიც მინდობილი აქვთ აღმასკომის გადაწყვეტილებით, ხელმძღვანელობენ კონკრეტულ დარგობრივ განყოფილებებს და სამმართველოებს.



მდივანი

ჟურნალი „სოვეტი ნაროდნიხ დეპუტატოვ“. 1980 წ. ნომერი. № 11.

მის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად. იქნება ამიტომაც არის, რომ ბეჟან მშვიდობაძე ახლაც, აპარატში მოუცლელობის მიუხედავად, დიდ ყურადღებას უთმობს ხელისუფლების ძირეულ ორგანოს. იგი ხშირად ჩადის ადგილებზე, ესწრება სასოფლო საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებს, შემდეგ კი დაწვრილებით არჩევს იქაურ მუშაკებთან ერთად დადებით და უარყოფით მომენტებს, აძლევს რჩევა-დარიგებას, თუ რა უნდა იღონონ, რათა მომავალში თავიდან აიცილონ ხარვეზები.

რაიონში მოქმედებს საბჭოთა მშენებლობის ორწლიანი სკოლა. ბეჟან მშვიდობაძე განათლებით მასწავლებელია. ამიტომ მისი საჯარო გამოსვლები სკოლის მსმენელების — სასოფლო აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნების წინაშე გამორჩეული კარგი სისტემატიზაციით, ლოგიკური და გასაგებია, აღსავსეა პრაქტიკიდან აღებული კონკრეტული ფაქტებით და მაგალითებით.

ახლა ძნელი წარმოსადგენია ამა თუ იმ საბჭოს მუშაობა პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების გარეშე. დაგეგმვა, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, ხელისუფლების ორგანოებს საშუალებას აძლევს „იმუშაონ სისტემურად, გამოიყენონ თავიანთივე გამოცდილება, თავიანთივე პრაქტიკა...“. ამ საქმეში ჭეშმარიტად ძალზე დიდ როლს ასრულებს აღმასკომის მდივანი. როცა ახალციხის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვიყავი, მე ვხედავდი, რა გულისყურით ეკიდებოდა გეგმების პროექტების შედგენას აღმასკომის მდივანი თ. პ. კიკნაძე, რომელსაც 1954 წლის შემდეგ უკავია ეს თანამდებობა. როგორ ახორციელებდა იგი პრაქტიკულად ამ საქმეებს?

განყოფილებათა გამგეები და სამმართველოთა უფროსები მდივანს წარუდგენენ იმ საკითხების ნუსხას, რომლებიც, მათი აზრით, უნდა განიხილოს საბჭოს სესიებზე. აღმასკომის სხდომებზე. რა თქმა უნდა, ერთიან გეგმაში მათი მექანიკური შეტანა გამორიცხული იყო. ეს ხომ სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. თ. პ. კიკნაძის დიდი გამოცდილება ეხმარებოდა ამ უდიდესი მრავალფეროვნებიდან შეერჩია ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, ყველაზე აქტუალური, რომელსაც შექმნილი ვითარება, აგრეთვე რაიონის განვითარების პერსპექტივა უკარნახებდა. და უეჭველია ყოველისა სწორედ ის საკითხები ამისახებოდა გეგმის პროექტში, რომელსაც მდივანი შეათანხმებდა და „წარადგენდა კოლეგიური განხილვისათვის.

აღმასკომის თავმჯდომარესთან თათბირის დროს თ. პ. კიკნაძე დაწვრილებით გაგვაცნობდა თავის მიერ შედგენილი გეგმის პროექტს, დაასაბუთებდა, თუ რატომ მიაჩნდა, რომ სწორედ ეს საკითხები უნდა განეხილა გათვალისწინებულ ვადებში საბჭოს სესიაზე თუ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას. თათბირში, ჩვეულებრივ, მონაწილეობდნენ განყოფილებათა გამგეები, სამმართველოთა უფროსები, მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეები, დაინტერესებული ორგანიზაციებისა და დაწესებულების წარმომადგენლები. ყოველ დამსწრეს თავისუფლად შეეძლო თავისი აზრი გამოთქვა და წინადადება შემოეტანა. თუ იგი კარგად იყო დასაბუთებული, ეთანხმებოდნენ და შეაქონდათ გეგმის პროექტში, რომელსაც შემდეგ რაიაღმასკომის სხდომაზე განიხილავდნენ. ამ სხდომაზე აღმასკომის მდივანი მოახსენებდა, თუ როგორ შესრულდა გასული კვარტალის გეგმა, რატომ ვერ გაკეთდა რაღაც, და წინადადება შეჰქონდა დაემტკიცებინათ მომდევნო პერიოდის მოქმედების პროგრამა.

კომუნისტი

საკვირაო საკითხავი

დრო და მწერალი

...დაირღვა საგარეჯოს მიმდებარე უდაბნოს „სიმშვიდე“, ამიერიდან უდაბურად აღარ იწოდება მისი არემარე. გაისარჯნენ გარეჯელები და ააშენეს ახალი სოფელი, კომლი კომლს შეემატა და კვლავაც შეემატება, მხარი მხარს მისცეს და მომავალშიც ერთად გასწევენ ჭაპანს. დაილოცება მხცოვანი ადამიანი, დაქორწინდებიან ახალგაზრდები, დაირწევა აკვნები.

...არ შეიძლება ამ ამბავმა არ ააღელვოს მწერალი, არ ათქმევინოს თავისი სიტყვა!

მ ე დ ე ა კ ა ხ ი ძ ე

ძველ ნასოფლარზე

ბევრჯერ მტერი დაგვემუქრა
წალეკვით და აკლებით,
ბევრჯერ შერჩათ
სახლებს უქმად
უბავშვებო აკვნები.

ჩვენ ვიყავით,
განა ბერნი,
მტერს ვინც ასჯერ მივუზღეთ
ის სამახი არაგველი,
ცხრა ძმა ხერხეულიძე.
სახლწინ სანთლად ასვეტილი
წლობით ნასათუთები,
აგვიკაფეს კაცებივით
ვაზი, ვარდი, თუთები,
ბევრჯერ დედაბუდიანად
აკვნიანად ავყრილვართ.
დედებს შვილის დამკარგავებს
არ გვეცალა სატირლად.
მაინც ქვა ქვას მივანარცხეთ,
შარიც, ღვარძლიც,
მოგბოლთეთ.
დროშა, ჩვენი სიამაყე,
ვაფრიალეთ გოდოლზე.
ვტრიალებდით ციბრუტებად,
რწმენას იმედს ვამყნობდით,
კვლავ მეახედ ვიბრუნებდით,
მიწას, ასჯერ დაპურობილს.
არ ჰქონია სისხლში ქართველს
ომში უკან იხევდეს,
გარჯაშიაც მუდამ გვმართებს
ბრძოლის ენი, სამხნევე.
თუ სამშობლო შეგვიძახებს,
გულის სარქველს შევიხსნით,
საურმე თუ ბეწვის გზაზე
ვიგუგუნებთ დევის ხმით.
იმ მარჯვენამ იკურთხოს,
ვინც აკურთხა ეს კუთხე,
ვინც ეს მიწა ტრიალი,
არ დაგდო ტიალად,
დაელოცოს მარჯვენა.
მადლის მქმნელი, უბადლო,
ვინც სიცოცხლე შთაბერა
გასახდენი კვიცივით
ყალყზე შემდგარ უდაბნოს.
გაგიმრავლდეთ კერის
ცეცხლი,
ბავშვიანი აკვნები,
ბერს ეკიდოს ბუდე
მერცხლის,
სახლწინ — ბერი კაკლები.
ტირილისთვის არ გეცალოთ,
სულ იხდიდეთ ქორწილებს,
ამ მიწაში, ამ ზეცაში
არ გაყოლოდეთ მოწლე.
სამშობლოსთვის გულის
სითბოს,
ვიცი, მრავლად გაიღებთ;
თქვენი სადღეგრძელო იყოს,
თქვენი მრავალჟამიერ!

რ ე ვ ა ზ ი ნ ა ნ ი შ ვ ი ლ ი.

რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი

სიხარული

დიდი ილიასი არ იყოს, — რა გითხრათ, რით გაგახაროთ, დებო და ძმებო! სახიხარულო უკვე თქვენს გაქვთ თქმული, დიდი სახიხარულო, — თქვენი აქ დასახლებით, თქვენ მიერ აქ, გარეჯის უდაბნოში აკვნის დარწევით, ბავშვების ყიყინით, გზების გაყვანით, საჭონლითო, სახლებით, იქიდან ახული კვამლით, გუთნით, თოხითა და ბარით. ჩემი მხრიდან მე ამას დავუმატებ მხოლოდ —კეთილი თვალი გამოგყოლოდეთ, საიდანაც თქვენ აქ მობრძანდით, კეთილი იყოს თქვენი ფეხი ამ მიწაზე, დაგელოცოთ სახლების ფუძეები, მშვიდობის ცა მოგცეთ და მიწა, ნურც მზემ გიღალატოთ და ნურც ნამმა, გაახაროს ყოველი ხე, რომელსაც თქვენ დარგავთ. გიმრავლოთ ძეობანი, ქორწილები! გჯეროდეთ, რომ სანამ იარსებებს საქართველო, კურთხევით იქნებიან მოხსენიებულნი ადამიანები, ვინც აქ პირველად ბარი დაკარა, ვინც აქ წყალს გამოუკადებს მწყურვალი მიწისკენ. ეს ხომ სწორედ ის ადგილებია, საიდანაც აღმოხავლური უდაბნო უტევს ჩვენს ბაღებსა და ვენახებს. ეს ხომ ერთი ამ ადგილთაგანია, რომლის დაუსახლებლობას ესწრაფვოდნენ ჩვენი მტრები, რათა დაუბრკოლებელი გზა ჰქონოდათ თბილისამდე. თქვენი აქ დასახლებით გრძელდება დიდი საქმე, რაც დაიწყო რუსთაველი და სამგორით, ვარკეთილითა და ვაზიანით. სოფლებით — მშვიდობითა და გამარჯვებით. დღეს უკვე ეგრე ადვილად ვეღარ შემოაღწევს უდაბნო ჩვენს დედაქალაქამდე. დიდება მათ მარჯვენას, რომლებმაც ამ დიდ საქმეში დაიდეს წილი!

შარშან სწორედ ჩვენი დიდი ზეიმის, გარეჯობის წინა დღეებში ვიღაცამ ჩამოთალა, ჩამოამსხვრია ნათლისმცემლის მონასტრის ჩუქურთმები, პირწმინდად უკანასკნელ ასამდე ჩაჩერქვა სტუდენტთა მიერ მიწის ქვეშ აღმოჩენილი სამარხის წარწერიანი მარმარილოს დაფა, დადღაბნა ისევდაც დადღაბნილი წმინდა კედლები, ჩვენმა ყიყინამ იქნებ ცული მაინც ხელიდან გააგდებინოს ამ მტერს.

ოდესღაც, ათასხუთასამდე წლის წინათ, როცა აქ დავით გარეჯელი და მისი მოწაფე ლუკიანე მობრძანებულან, გაზაფხული ყოფილა. იკვებებოდნენ თურმე ბალახეულითო, მერე ჩამომდგარა ზაფხული გვალვა, გადაუწყვავს, გადაუბუგავს ის ბალახეული. მაშინ დავითს და ლუკიანეს მხსნელად მოვლენია სამი ნუკრიანი ფურირემი, ის ფურირემი ეწველინებოდნენ მეუდაბნოეებს და მათი რძით გაჰკოდათ თავი. შეიძლება პირველ ხანებში თქვენც გაგიგიერთეთ ჩვენო ძმებო და დებო,მაგრამ გჯეროდეთ თქვენთანაც დაუყოვნებლივ მოვლენ თანამედროვეობის მხსნელი ირმები — ჩვენი სახელმწიფოს ძლიერი ხელებით, ჩვენი მეცნიერება, ჩვენი ტექნიკა... დიდება ამ ხელს, დიდება მის ძალას, გვფარავდეს იგი ყოველ ჩვენგან.

ა რ ვ ი ცი, როგორ აბერხებენ მხატვრები ადამიანის გარეგნობაში მისი შინაგანი ბუნებისა და ხასიათის დანახვას და მერე ამის პორტრეტზე გამოსახვას. ეს, ალბათ, ძალიან ძნელია, რადგან ადამიანის სულიერი და ფიზიკური თვისებები იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს, ზოგჯერ კი ისეა დამორეებული ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა.

რუსუდან ლეკბურაშვილზე ბევრი რამ ადრევე მსმენოდა და ჰეგონა გარკვეული წარმოდგენაც მქონდა მის პიროვნებაზე. მაგრამ პირადად რომ ვნახე, სულ სხვანაირი მეჩვენა. იგი არაფერით არ ჰგავს მრავალჭირნახულ, ომის ქარ-ცეცხლში გამოვლილ, ბრძოლით და ჯაფით დაღლილ ადამიანს, რომელსაც უფლება აქვს იამაყოს თავისი წარსულით. ამ სიამაყის ერთი ხაზიც, ერთი ნაოჭიც კი არსად აჩნია არც მის შუბლს, არც ტუჩის კუთხეებს. ერთადერთი, რაც მის სახეზე შეიძლება ამოიკითხოთ, დედური სინაზე და სათნოებაა და, თუმცა ბუნებით მართლაც ასეთია, მაინც ვერ იტყვით, რომ ეს მისი ხასიათის განმსაზღვრელი, ძირითადი თვისება იყოს.

რუსუდან ლეკბურაშვილი ომის თაობის წარმომადგენელია და ომის თაობის ყველა ჭრილობა ატყვია მის ცხოვრებას, მაგრამ ეს ჭრილობა სხეულში ჩარჩენილი ყუმბარის ნამსხვრევივითაა, სადღაც შიგნით, სიღრმეში რომ გტკივა, გარედან კი არა ჩანს.

სწორედ ეს უჩინარი ჭრილობა, ეს უთქმელი ტკივილია ის ძირითადი, მის ბუნებას, მთელ მის პიროვნებას რომ განსაზღვრავს და ახასიათებს. ერთი შეხედვით კი ვითომ არაფერია, ბედის სამდურავი არასოდეს წამოცდება, ახალგაზრდობიდანვე მიეჩვია ცხოვრების მძიმე ჭაპანის უდრტვინველად და ხალვათად ზიდვას. მისი ყმაწვილქალობის გაფურჩქვნის წლები ომის წლებს დაემთხვა. სწორედ 1941 წლის იმ ზაფხულს გახდა ჩვიდმეტისა, ომი რომ დაიწყო, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა, სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი იყო. გამოცდები ჩაბარა თუ არა, მაშინვე მშობლიურ სოფელ კარდანახს მიაშურა. იცოდა, მამა დღე-დღეზე არმიაში გასაწვევი იყო და უნდოდა ჩაესწრო, მაგრამ უკვე წასული დახვდა. ისე ეწყინა, ისე დასწყდა გული, მთელი ღამე უხმოდ ტიროდა და დარდით არ დაეძინა.

ეს იყო პირველი ტკივილი, 17 წლის გოგონას ომმა რომ მიაყენა. მანამდე ყველაფერი უფრო იოლად და რამდენადმე რომანტიკულადაც კი ეჩვენებოდა.

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მძიმდებოდა ომის ღრუბლები. სამკუთხა ბარათებიც მერე და მერე შავი ბარათებიც მოჰყვა და გახშირდა მიცვალებულთა უცხედროდ და უსაფლაოდ დატირება. ვერც სოფლად, ვერც ქალაქად ჯანიან ვაჟკაცს ვერ ნახავდი, ყველანი ომში გაკრებილიყვნენ...

ბოლოს თვით რუსუდანის ჯერიც დადგა. 1943 წელს დაამთავრა თუ არა სამედიცინო ინსტიტუტი მაშინვე, მოქმედ არმიაში გაიწვიეს და 21 წლის ქალიშვილი ექიმად გაამწესეს ჰოსპიტალში, უკრაინის მეორე ფრონტზე. უფროსი ლეიტენანტის წოდება მისცეს და ქირურგიული განყოფილების ორდინატორად დანიშნეს.

გამხდარი იყო, მოკლედ შეკრეჭილი თმა ჰქონდა და პატარა, შავგვრემანი სახე, რაც მთლად ბავშვურ იერს აძლევდა, და დაჭრილებს უკვირდათ, თან ეშინოდათ მკლავებდაკაბიწებული ქირურგიული დანით ხელში საოპერაციოდ რომ მიადგებოდა ეს გალეული გოგონა.

ასე გაიარა ომის გზებით რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანია... ბოლოს, ომი დამთავრდაო რომ უთხრეს, თუმცა დიდი ხანია ელოდა ამ წუთს, სიხარულით იტირა და პირველად იმ მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცის სანახავად გაიქცა, რომელსაც იმ დილით გაუკეთეს ოპერაცია და რომლის გადარჩენა სათუო იყო.

და როცა იმ ღამეს ის ჯარისკაცი გარდაიცვალა, ახალგაზრდა ექიმს კიდევ ერთი ძარღვი ჩაუწყდა გულში, და თუმცა გული დასერილი ჰქონდა ასეთი ჭრილობებით, იგრძნო ახლა ყველაზე მეტად ეტკინა გული...

რა ნათლად ახსოვს მაისის ის დღე! რამდენნაირი გრძნობა და ფიქრი ენაცვლებოდა გულში ერთი წერილები ათობით მოდის.

— ოდესაში ეკრატოპლასტიკისა და კერატოპროთეზირების საკითხებზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე თქვენმა მოხსენებამ „გამჭოლი კერატოპლასტიკის ჩვენებები და ეფექტიანობა“ დიდი ინტერესი გამოიწვია. გვიამბეთ, თუ შეიძლება, თქვენი მუშაობის მეთოდებზე და ოფთალმოლოგიის მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე,—სთხოვა თ. გორგილაძეს საქნფორმის კორესპონდენტმა რ. ცუცქირიძეს.

— ადრე გადანერგილ ტრანსპლანტატს თვალის ქსოვილზე აფიქსირებდნენ კონიუნქტივური ლენტით. ფიქსაციას, როგორც წესი, ავადმყოფი კარგად იტანდა, მაგრამ ოპერაციის შემდეგ მას ბევრი გართულებები მოსდევდა.

ჩვენს კლინიკაში შემუშავებულია ბიოლოგიური ნაკერების ფიქსაციის ახალი მეთოდი — ფიბრინული აფსკის დახმარებით. თვალი მას კარგად იტანს, ხოლო შვიდ-ათ დღეში, მაქსიმუმ ორ კვირაში, იგი მთლიანად განიწოვება.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთი პლანეტაზე დაახლოებითი ჩვიდმეტი მილიონი ბრმაა. მათგან 35-40 პროცენტმა მხედველობა დაკარგა რქოვანი გარსის დაზიანების გამო. ამიტომ ექვს მილიონზე მეტი ადამიანი საჭიროებს კერატოპლასტიკასა და კერატოპროთეზირებას. მხოლოდ ახლმა, ჩვენს ინსტიტუტში შემუშავებულმა და ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში უკვე დანერგილმა ოპერაციის მეთოდმა ბით ბრალეტაზე დაახლოებით ორი-ოთხი გრადუსი ტემპერატურის პირობებში მოცემულ შემთხვევაში მიუღებელია — მისი მოქმედების დრო მხოლოდ რამდენიმე დღეა.

უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხარკოვის კრიო-ბიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებისა და ჩვენი გახყოფილების თანამშრომლების ერთობლივი მეცადინეობით შეიქმნა ახალი მეთოდი — კონსერვაცია დიდი სიცივის პირობებში. ამ მუშაობაში დიდ მონაწილეობას იღებს ინსტიტუტის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი ნადეჟდა ალექსანდრეს ასული პუჩკოვსკაია.

ოფთალმოლოგიის მეცნიერების თანამედროვე მიღწევები ახალ შესაძლებლობებს უსახავს მხედველობის ორგანოს პათოლოგიით დაავადებულთა აღდგენით მკურნალობას. რასაკვირველია, ყველა პრობლემა როდია გადაჭრილი.

ჩემთვის, როგორც ექიმი კომუნისტისთვის, ყველაზე მაღალი ჯილდოა ჩემი პაციენტის მადლობა, როცა წარმატებით ჩატარებული ოპერაციის შემდეგ იგი მეტყვის: „გმადლობთ, ექიმო, მე ვხედავ!“

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა

შეწყვეტილი ფრენა

ტუ-154 ტიუმენ-მოსკოვის მარშრუტით მიფრინავდა. უკან დარჩა უურალი. 10.000 მეტრ სიმაღლეზე პილოტების კაბინაში მოულოდნელად შემოვარდა ბორტგამყოლი: ბავშვი, ერთ-ერთი მგზავრი ქალის შვილი, ცუდად გახდა. საბედნიეროდ თვითმფრინავში აღმოჩნდა სახუმელი ექიმი ტ. იაქსონი.

— ბავშვის მდგომარეობა მძიმეა, — თქვა ექიმმა ქალმა, როცა 10 თვის რენა აბასოვა გასინჯა.

ხომალდის მეთაურმა გ. ბუნიკოვმა გადაწყვიტა გორკში დამჯდარიყო. ითხოვეს იძულებითი დაშვების ნებართვა. დისპეტჩერმა უპასუხა, მიღებას ურიგოდ უზრუნველყოფთო. რამდენიმე წუთის შემდეგ უზარმაზარი თვითმფრინავი ბეტონის ზოლზე დაეშვა. კიბესთან მაშინვე მოვიდა „სასწრაფო დახმარების“ მანქანა.

...რამდენიმე ხნის შემდეგ გორკიდან შეატყობინეს, რომ ბავშვი გადარჩა.

ა. სამოილიკი.

„იზვესტია“, 1980 წლის 19. XII.

ბ უ ნ ე ბ ი ს ს ა ო ც რ ე ბ ა ნ ი

რას ამბობენ თუთიყუშები

როდესაც ცხოველთა ენასა-როს ამა თუ იმ წარმომადგენელთა ურთიერთობის რთულ ფორმებს აკვირდება, უნებლიეთ გებადება კითხვა: ხომ არა აქვთ ენა ცხოველებსაც?

თუთიყუშსა და ზოგიერთ სხვა ფრინველს აქვთ განსაკუთრებული „მეტყველება“: მათ შეუძლიათ ადამიანის სიტყვის იმიტირება. ბევრი რუხი და ზოგიერთი სხვა თუთიყუში გარკვევით წარმოთქვამს „დილა მშვიდობისას“, თანაც დღეში მხოლოდ ერთხელ და ისიც შესაფერის დროს.

ცნობილი ანთროპოლოგი რ. იერსკი და მისი თანამშრომელი ლერნედი რვა თვეს გულმოდგინედ წვრთნიდნენ ახალგაზრდა შინპანზე „რიმას“, რომ მას გააზრებულად და სწორი „მისამართით“ გამოეთქვა ზოგიერთი ინგლისური სიტყვა. თუმცა იერსკი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ შიმპანზე პირველივე შესაძლებლობით ისარგებლებდა და დაილაპარაკებდა, მკვლევართა ცდებს შედეგი არ მოჰყოლია. სხვა მკვლევრებმა — ფარნესმა ორანგუტანგს „მამის“ ხოლო ჰაისმა შიმპანზეს „დედის“ წარმოთქმა შეასწავლეს. მაიმუნების მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები გარეგნულად კი მოგვაგონებდა ადამიანების მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, მაგრამ აზროვნებისგან არაფერს არ გამოხატავდა. მაგალითად, შიმპანზეს „ვიკი“, რომელიც ამბობდა „დედას“, ასე მიმართავდა ნებისმიერ ადამიანს, ვისაც კი ხელში ბანანი ეჭირა. როგორც ვხედავთ, საქმე ჩვეულებრივი პირობითი რეფლექტორული კავშირის (ბგერები — „დედა“, „ბანანი“) იქით არ წასულა.



სურათზე: რ. ლეკბურაშვილი. სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უ. ჯაფარიძის ნახატი.

უ ჩ ი ნ ა რ ი ჭ რ ი ლ ო ბ ა

ს ვ ლ ა — მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ი პ ა ს უ ხ ი

მალტის დედაქალაქ ლა-ვალეტაში გამართულ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ბოლო, გადამწყვეტ ტურში, მაშინ, როცა სსრ კავშირის ქალთა ნაკრები იუგოსლავიის გუნდს ხვდებოდა, ყველაზე საინტერესო მაია ჩიბურდანიძისა და მარკოვიჩის პარტია გამოდგა. გთავაზობთ ამ პარტიის ჩანაწერს თვით მსოფლიო ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის კომენტარით:

ჩიბურდანიძე — მარკოვიჩი

1. e4 c5 2. ∅f3 ∅f6.

მარკოვიჩმა აირჩია ნაკლებად ცნობილი გაგრძელება, რომ მოულოდნელობით დაებნია მოწინააღმდეგე.

3. e5 ∅d5 4. d4 cd 5. ლ:d4 e6 6. c4?!

საეჭვო სვლაა, რომელიც აფერხებს ფიგურების განვითარებას. თეორიის თანახმად უძლიერესია 6. c4, მაგრამ თეორეტიკოსებს ეჩვენებოდა, რომ მოულოდნელობით დაებნია მოწინააღმდეგე.

6... ∅c6 7. ლe4 ∅de7 8. b3

e5 პაიკის დაცვა კუთი აუცილებელია, რადგან შავებს მეg6 და ლa5-ით შეუძლიათ მისი მოგება, თუ თეორიები ითამაშებდნენ 8. c:f4, მაშინ 8...∅g6 9. ∅g5 შემდეგ კუ პასიური ხდება.

8... ∅g6 9. ∅b2 ∅e7 10. ∅e2 0—0

შაბლონური გადაწყვეტილებაა.

11. 0—0 d6

აქ უკვე გვიანია 11...f6, რადგან 12. ef ∅:f6 13. ∅:f6 ლ:f6 14. ∅a3 შემდეგ, d7-e6 პაიკების სისუსტე რელიეფურად არის გამოკვეთილი.

12. ∅d1 ლc7 13. ed ∅:d6 14. ∅a3 a6 15. ∅c2

თეორემამ თითქმის დაამთავრეს ფიგურების მობილიზება, შავებს კი გადასაწყვეტი აქვთ თეორეტიკრედოვანი ჯუს განვითარების პრობლემა. თუ მათ შეძლეს კუს ფიანკეტირება ლაზიერის ფრთაზე b6-ch7-ის საშუალებით, მათი პოზიცია პერსპექტიული ხდება. თეორების მე-15 და შემდეგი სვლა მიმართულია ამ გეგმის წინააღმდეგ.

15... b6 16. ∅cd4 ∅ce5

არ შეიძლებოდა 16... ∅b7 17. ∅c6 ∅c6 18. ლd4 მოგებით.

17. ლ:a8 ∅b7 18. ლa7 ∅a8 19. ∅:e6

ამ სვლიდან თეორები იწყებენ საინტერესო გეგმის განხორციელებას, რომლის იდეაა ლაზიერის შეწირვა ინიციატივის მოსაპოვებლად.

19. fe 20. ლ:b7! ლ:b7 21. ∅:d6 ∅f7?

უძლიერესი იყო 21... ლe4 — რთული თამაშით.

22... ∅:e6 ∅f4 23. ∅e3 ∅:e2 24. ∅:e2

ამგვარად, თეორების ძლიერი კუ b2-ზე და შავების სუსტი პაიკები g7 და b6 თეორების პოზიციას უფრო მიმზიდველს ქმნის.

24... ∅d8 25. ∅ae1 h6 26. ∅e6 ∅d6 27. ∅e8+ ∅g7 28. ∅d4 ∅d8 29. ∅e7 ∅d7 30. ∅e8 სვლების გამეორება დროის მოგების მიზნით.

30... ∅d8 31. ∅8e8! ∅d6 32. ∅e6 ∅g8

ეტლმა პასიური პოზიცია დაიკავა და თეორები გადამწყვეტ უპირატესობას ეუფლებიან.

33. ∅f8 ∅e4 34. ∅f8+ ∅g7h8 35. ∅g6 ∅g7h7 36. ∅f8 ∅g7h8 37. ∅f4 ∅d6



38. ∅e7! ლc6 39. ∅f6!! ლg2+ იმუქრებოდა 40. ∅h6X; თუ 39... gf 40. ∅h7+

40. ∅g2 gf+ 41. ∅g1f8 ∅:f8 42. ∅e6 შავები დანებდნენ.

მ ა ი ა ჩ ი ბ უ რ დ ა ნ ი ძ ე.

ჭადრაკი აიკრძალა

თეირანი. (საკდესი). გაზეთ „ჯომხურიე ისლამის“ ცნობით ირანში ჭადრაკის თამაში აიკრძალა. გაზეთი ამის მიზეზად ასახელებს იმას, რომ ჭადრაკის თამაში ისლამის ნორმებს ეწინააღმდეგება. ეს მითითება აიათოლა ჰომეინს ეკუთვნის.

რედაქტორი

გ. ბ ე დ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი.

ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე თ ა პ ო რ ტ რ ე ტ ე ბ ი

ყოველდღიურად საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა ქალაქებიდან ათობით წერილი მოდის ოდესის აკადემიკოს ვ. პ. ფილატოვის სახელობის თვალის სნეულებებისა და ქსოვილების თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის თ. გორგილაძის სახელზე.

„...თქვენ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი ხართ. სამი წლის წინათ იმ ბედნიერ დღემდე ხომ არავის სჯეროდა, რომ ერთი წარმატებით ჩატარებული ოპერაცია მხედველობას დაუბრუნებდა ოთხმოცდაექვსი წლის კაცს“, — წერს კ. გ. გაიდუკევიჩი ყირგიზეთის სს რესპუბლიკის ქალაქ პრეგევალსკიდან.

„...სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეუდექი მუშაობას. თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ, მხედველობა აღმოდგა“, — იტყობინება დიმიტრი კონტონე — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ულან-ბატორის მცხოვრები.

„...მოხდა წარმოუდგენელი რამ — მე კვლავ ვხედავ! ოპერაცია, რომელიც მე გამიკეთეს წარმატებით დაგვირგვინდა. უკვე შემიძლია კითხვა, ტელევიზორის ყურება, და რაც მთავარია, მუშაობა. გმადლობთ — მე ვხედავ! — კონსტანტინე კუზნეცოვი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, კომის ასსრ“. — ასეთივეა შემოგვიერთეს უდაბნო ჩვენს დედაქალაქამდე. დიდება მათ მარჯვენას, რომლებმაც ამ დიდ საქმეში დაიდეს წილი!

შარშან სწორედ ჩვენი დიდი ზეიმის, გარეჯობის წინა დღეებში ვიღაცამ ჩამოთალა, ჩამოამსხვრია ნათლისმცემლის მონასტრის ჩუქურთმები, პირწმინდად დაკანასკნელ ასამდე ჩაჩერქვა სტუდენტთა მიერ მიწის ქვეშ აღმოჩენილი სამარხის წარწერიანი მარმარილოს დაფა, დადღაბნა ისევდაც დადღაბნილი წმინდა კედლები, ჩვენმა ყიყინამ იქნებ ცული მაინც ხელიდან გააგდებინოს ამ მტერს.

ოდესღაც, ათასხუთასამდე წლის წინათ, როცა აქ დავით გარეჯელი და მისი მოწაფე ლუკიანე მობრძანებულან, გაზაფხული ყოფილა. იკვებებოდნენ თურმე ბალახეულითო, მერე ჩამომდგარა ზაფხულის გვალვა, გადაუწყვავს, გადაუბუგავს ის ბალახეული. მაშინ დავითს და ლუკიანეს მხსნელად მოვლენია სამი ნუკრიანი ფურირემი, ის ფურირემი ეწველინებოდნენ მეუდაბნოეებს და მათი რძით გაჰკოდათ თავი. შეიძლება პირველ ხანებში თქვენც გაგიგიერთეთ ჩვენო ძმებო და დებო,მაგრამ გჯეროდეთ თქვენთანაც დაუყოვნებლივ მოვლენ თანამედროვეობის მხსნელი ირმები — ჩვენი სახელმწიფოს ძლიერი ხელებით, ჩვენი მეცნიერება, ჩვენი ტექნიკა... დიდება ამ ხელს, დიდება მის ძალას, გვფარავდეს იგი ყოველ ჩვენგან.

„მე ვხედავ, ე ქ ი მ ო!“

წევებზე,—სთხოვა თ. გორგილაძეს საქნფორმის კორესპონდენტმა რ. ცუცქირიძეს.

— ადრე გადანერგილ ტრანსპლანტატს თვალის ქსოვილზე აფიქსირებდნენ კონიუნქტივური ლენტით. ფიქსაციას, როგორც წესი, ავადმყოფი კარგად იტანდა, მაგრამ ოპერაციის შემდეგ მას ბევრი გართულებები მოსდევდა.

ჩვენს კლინიკაში შემუშავებულია ბიოლოგიური ნაკერების ფიქსაციის ახალი მეთოდი — ფიბრინული აფსკის დახმარებით. თვალი მას კარგად იტანს, ხოლო შვიდ-ათ დღეში, მაქსიმუმ ორ კვირაში, იგი მთლიანად განიწოვება.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით, ამჟამად ოფთალმოლოგიის მეცნიერებაში ერთ-ერთი ადგილი ეკავა ბ. ბ. ფიოდოროვის ინსტიტუტის ოფთალმოლოგიურ ინსტიტუტს. ეს ინსტიტუტი ბევრ ინტერესულ ამოცანას ამუშავებს. ინსტიტუტის ერთ-ერთ ლაბორატორიაში ბ. ბ. ფიოდოროვ-ინსტიტუტის ბ. ბ. ფიოდოროვ-ინსტიტუტის ბ. ბ. ფიოდოროვ-ინსტიტუტის